საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6184/01
03/07/2020

6184-01-2-202007031652

შპს „გლობალ რესაიქლინგ კოს“

მის: ქ. თბილისი, შოთა ნადარეიშვილის N34

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 9 ივნისის N8522 განცხადება, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ, ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო-სანიაღვრე წყლების წარმოქმნას. აღნიშნული წყლების მართვის მიზნით, თითოეული ჩამდინარე წყლის კატეგორიისთვის პროექტით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. გამწმენდი ნაგებობებიდან მიღებული გაწმენდილი წყლების ჩაშვება მოხდება საერთო გამყვან კოლექტორში და შემდეგ ჩაშვებული იქნება მდ. ცივაში (ჩაშვების წერტილის კოორდინატები - X-736997, Y-4681936). იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს გააჩნია ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ერთი წერტილი, დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები დადგენილი უნდა იქნეს მდ. ცივაში ჩაშვების წერტილისთვის, ხოლო ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი მოცემულ წერტილთან ერთად, განხორციელდეს როგორც საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, ისე საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან გამყვან კოლექტორში მოხვედრამდე. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კოლექტორში ჩაშვების წერტილების კოორდინატები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის დანართი 3-ში მითითებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები არასწორად არის გაანგარიშებული და საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია ასახული უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან მიმართებაშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტრო აჩერებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე. გთხოვთ ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ შენიშვნების შესაბამისად დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე